საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3135/01
30/03/2022

3135-01-2-202203301627

**შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო., ფილიალი საქართველოშის“**
**მის:** ქ. თბილისი, პეტრიაშვილის №10
**ელ.ფოსტა:** paatachank@yahoo.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №4260 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. კობში კობი-ქვეშეთის გზის მონაკვეთზე (ლოტი 1) სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეულისა და საბოლოო პროდუქციის ტრანსპორტირების და დასაწყობების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული ტექნოლოგიური პროცესის აღწერა ბუნდოვანია და საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ, დოკუმენტში ნათლად უნდა იქნეს აღწერილი საწარმოში ნედლეულის ტრანსპორტირებიდან საბოლოო პროდუქციის მიღებამდე ქვიშა-ხრეშის გადამუშავების სრული ციკლი, საწარმოს შესაბამის გენგეგმაზე დატანით;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამსხვრევი დანადგარი მოწყობილია კობი-ქვეშეთის გზის (ლოტი 1) მშენებლობის პროექტის ფარგლებში შეთანხმებული ფუჭი ქანების №1 სანაყაროს ტერიტორიაზე, სადაც ასევე მოწყობილია ბეტონის ქარხანა, რომელიც სამსხვრევი დანადგარიდან დაშორებულია დაახლოებით 400 მეტრით. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იყოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე